სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**Turkish Studies/თურქოლოგია**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**თურქოლოგიის ბაკალავრი** **Bachelor of Turkology**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	რვა სემესტრი (240 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: • 120 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა; • 50 კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები; • 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობა; • 10 კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ელისაბედ ბჟალავა, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განათლებისა და გადაწყვეტილების დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება შეესაბამება რა უნივერსიტეტის მისიას ემსახურება მისი მიზნების განხორციელებას, კერძოდ - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტუტრული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწვლას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითრებას. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა: • შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თურქულ და ოსმალურ ენებში, თურქეთის ისტორიაში, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, კულტურასა და რელიგიაში. • შეისწავლოს ქართული თურქოლოგიური სკოლის ძირითადი მიღწევები და ტენდენციები. • მიიღოს კომპლექსური ცოდნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობების შესახებ. • მიიღოს საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნა, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს; • გამოუმუშავოს დარგობრივი საქმიანობის უნარი ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, თურქოლოგიის დარგში სწავლებისა და კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის შედეგები[1]	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• დეტალურად აღწერს თურქოლოგიას და თურქოლოგიური სკოლის ტრადიციებს საქართველოში და განმარტავს თურქოლოგიის განვითარების მნიშვნელობას ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის. • ავლენს თურქული ენის ცოდნის B2 დონეს; აღწერს და მიმოიხილავს თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და რელიგიის, განვითარების ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს; • ადარებს და აპირისპირებს თურქ ხალხთა განვითარების ისტორიულ -კულტურულ პროცესებს; • ავლენს თურქულ-ქართული ურთიერთობების ძირითად ასპექტების ცოდნას; • აღწერს და განმარტავს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობასა და დინამიკას.
ბ) უნარები	• აანალიზებს და აფასებს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ისტორიულ პრიცესებს • წარმატებით იყენებს დარგობრივ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს • არგუმენტირებულად და შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით მსკელეობს და დისკუსირებს პროფესიულ სფეროში.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის კვლევით ნაშრომს; • გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).
შეფასების სისტემა[2]	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:**

	ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას – (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს

[2] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევითა და ზოგადი ტრანსფერული უნარებით მზადაა კვლევითი, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო და სათარჯიმნო საქმიანობისთვის. იგი შეიძლება დასაქმდეს: • სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში • გამომცემლობებში • ბიბლიოთეკებში • არქივებსა და მუზეუმებში • თურქულ ფირმებსა და კომპანიებში • ტურისტულ სააგენტოებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის

განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევარები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. 1. მარიკა ჯიქია - პროფესორი 2. ელისაბედ ბჟალავა- ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი 3. ნანული კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი 4. ქეთევან ლორთქიფანიძე - ასოცირებული პროფესორი 5. მზისა ბუსკივაძე- ასისტენტ-პროფესორი ***მოწვეული პედაგოგები:*** 1. ელიდა კვანტალიანი- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოწვეული ლექტორი 2. თეონა აფხაზავა - თსუ ენების ცენტრის პედაგოგი 3. გუჩა ქუთათელაძე - თსუ დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი 4. მარინა ყუშიტაშვილი- მოწვეული ლექტორი ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და შესაბამისი პროფილის სხვა ს/ს ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები: 1. ნანი გელოვანი, პროფსორი; 2. მირიან მახარაძე, ასოცირებული პროფესორი; 3. ირმა რატიანი, პროფესორი; 4. ინგა სანიკიძე, ასოცირებული პროფესორი; 5. თინათინ ბოლქვაძე, ასოცირებული პროფესორი; 6. რუსუდან ასათიანი, ასოცირებული პროფესორი; 7. მამია სურმავა, ასოცირებული პროფესორი; 8. მარინე ფუთურიძე, ასოცირებული პროფესორი; 9. ირინე კოშორიძე, ასოცირებული პროფესორი; 10. ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი; 11. რევაზ გაჩეჩილაძე, პროფესორი; 12. თამარ აბულაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის

	განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ენობრივი პრაქტიკა: • თსუ-ისა და თურქეთის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ხელშეკრულების საფუძველზე ყოველწლიურად ხდება თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაგზავნა თურქული ენის საზაფხულო/ზამთრის სკოლებში და ინტერნაიცონალურ ბანაკებში, სადაც ენობრივ პრაქტიკასთან ერთად კულტურული პროგრამის მონაწილეებიც ხდებიან – ათვალიერებენ თურქული კულტურის ძეგლებს. • თურქეთის მთავრობის მიერ ინიცირებულ “მევლანას” გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ერთი სემესტრი გაატარონ თურქულ უნივერისტეტებში. • ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ”ერზურუმის” გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ერთი სემესტრი გაატარონ როგორც თურქულ ისე ევროპის წამყვან უნივერისტეტებში. • თურქეთის მთავრობის მიერ გამოცდახებული სტიპენდიების “Türkiye Burslar”ფარგლებში (საქართელოსთვის დაშვებულია ცალკე კვოტა) თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, მაგისტრანტობის კანდიდატებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს საშუალება ეძელვათ სწავლა/კვლევა გააგრძელონ თურქულ უნივერსიტეტებში; გარდა ზემოჩამოთვლილი აქტივობებისა პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორცილებელი პერსონალი ზრუნავს სტუდენტების ინფორმირებულობასა და ჩართულობაზე სხვადასხვა ტიპის გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში: • საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და განათლების სამრჩევლოს ეგიდით. საქართველოს მასშტაბით თურქოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის ყოველწლიურად (2000 წლიდან) ტარდება ქართულიდან

	თურქულად თარგმანების კონკურსი. საუკეთესო სამი თარგმანის ავტორს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. აღნიშნული კონკურსი მეტ მოტივაციას უჩენს სტუდენტებს რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ თურქული ლიტერატურა და უკეთესად დაეუფლონ ენობრივ კომპეტენციებს; • თბილისის იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრში ყოველთვიურად ტარდება სემინარები "საუბრები თურქულ ლიტერატურაზე" სადაც სტუდენტებს ეძელვათ საუშუალება მოუსმინონ თურქეთიდან მოწვეულ დარგის სპეციალისტებს, დაუსვან შეკითხვები და გაიღრმავონ ცოდნა მათთვის საინტერესო მიმართულებით. გარდა აღნიშნულისა სისტემატურად ტარდება სხვადასხვა ტიპის კურსები (ებრუ (წყალზე ხატვა), კალიგრაფია და სხვა) რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ახლოს გაეცნონ თურქულ კულტურას და გაიღრმავონ ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევები; • 2021 წელს "გლობალიზაცია სახლიდან გაუსვლელად" პროექტის ფარგლებში თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ილიაუნისა და ავეიროს (პორტუგალია) უნივერსიტეტების სტუდენტური ჯგუფების ჩართულობით მომზადდა ერთობლივი კვლევითი პროექტი. რომლის ონლაინ პრეზენტაციასაც ესწრებოდნენ კოორდინატორები სამივე უნივერსიტეტიდან და ავეიროს უნივერსიტეტის რექტორი. პროექტის წარმატებულად განხორციელების დასტურად სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი სისტემატურად მასპინძლობს ახლო აღმოსავლეთისა და ევროპისა წამყვანი უნივერსიტეტების აღმოსავლეთმცოდნე პროფესორებს, რომლებიც ინტენსიურ სალექციო კურსებს, საჯარო ლექციებსა და კონსულტაციებს სთავაზობენ ინსტიტუტის სამივე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების, მათ შორის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს. გარდა ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო აქტივობებისა, თსუ თურქოლოგიის პროგრამების სტუდენტები ინდივიდუალური აქტივობებითაც აღწევენ წარმატებებს - მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში.